



პრეს რელიზი

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ორმხრივი და მრავალმხრივი საგზაო რუკების შესრულება საქართველოში 2013 წელს ვაჭრობასა და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სფეროში

სასწრაფო გავრცელებისათვის.

*2014 წლის 30 აპრილი
თბილისი*

2014 წლის 30 აპრილს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი გამართავს ანგარიშის პრეზენტაციას „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ორმხრივი და მრავალმხრივი საგზაო რუკების შესრულება საქართველოში 2013 წელს ვაჭრობასა და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სფეროში“.

ანგარიში წარმოადგენს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ესპ-ის) სამოქმედო გეგმის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ორმხრივი და მრავალმხრივი საგზაო რუკების მიხედვით საქართველოს ხელისუფლების მიერ 2013 წელს გაწეული საქმიანობის შეფასებას. ანგარიში ასახავს ვაჭრობის, საბაჟო პროცედურების, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების, ინვესტიციებისა და კონკურენციის პოლიტიკის კუთხით ქვეყანაში განხორციელებული საკანონმდებლო, ინსტიტუციური, თუ ადმინისტრაციული ცვლილებების ანალიზს და ამ რეფორმებთან დაკავშირებით, როგორც სამთავრობო სექტორის, ისე ბიზნესწრეების წარმომადგენელთა და დამოუკიდებელ ექსპერტთა შეხედულებებს.

ესპ-ის სამოქმედო გეგმისა და აღმოსავლეთი პარტნიორობის საგზაო რუკებით ნაკისრი ვალდებულებები ეკონომიკურ ნაწილში ევროკავშირთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას, კონკრეტულად კი, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნას ისახავს მიზნად. გასულ წელს ამ კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა: აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტზე (2013 წლის ნოემბერი) მოხდა ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირება, რომლის მნიშვნელოვანი კომპონენტს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (DCFTA) შეადგენს. ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა 2014 წლის ივნისშია დაგეგმილი, რის შედეგადაც, DCFTA-ის ნაწილი, ევროკავშირის თითოეული წევრი ქვეყნის მიერ ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაციამდე შევა ძალაში და საქართველოს გაუხსნის ევროკავშირის ერთიან ბაზარს, 500 მილიონი მომხმარებლით.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ინიციატივით, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ მომზადებული ანგარიშში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც, ანგარიშის ავტორთა აზრით, ხელს შეუწყობს ვაჭრობასა და მასთან დაკავშირებულ სფეროებში მთავრობის პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდას და მის შემდგომ დაახლოებას ევროკავშირის მიდგომებთან.

პრეზენტაციას გახსნის შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ხელმძღვანელი, ქ-ნი ევა სმედბერგი

პრეზენტაციას დაესწრებიან საქართველოს ხელისუფლების, დიპლომატიური მისიების, საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, წარმომადგენლები.

საკონტაქტო პირი: ნინო სუთიძე, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამის თანაშემწე. ელფოსტა: nsutidze@epfound.ge ტელ.: 225-39-42/43.

დამატებითი ინფორმაციისათვის ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის შესახებ, შეგიძლიათ ეწვიოთ ვებგვერდს: www.epfound.ge